ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი

წერილის ნომერი:**15-15221874**
თარიღი: **06/07/2022**

ადრესატი:

რამაზ ჯინჭარაძე
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს

ბატონ რამაზ ჯინჭარაძეს

ბატონო რამაზ,

თქვენი, 2022 წლის 4 ივლისის N15-152218511 წერილის მიხედვით, საკრებულოს რეგლამენტის 103-ე მუხლის იმ ჩანაწერზე მითითებით, რომლის მიხედვითაც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ამომრჩევლის მოსმენა („ღია კარის სხდომა“) ტარდება საკრებულოს სხდომათა დარბაზში, „ლუკა ასათიანის სახელობის საკრებულოს სხდომათა დარბაზში“ მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო, ამ ეტაპზე, შეუძლებლად მიგაჩნიათ „ღია კარის სხდომის“ გამართვა.

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის კანონისმიერ ვალდებულებაზე უარის თქმა ამ მოტივით, როდესაც, მიუხედავად საკრებულოს რეგლამენტის 44-ე მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერისა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში საკრებულოს სხდომები იმართება აჭარის არ უმაღლესი საბჭოს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შენობებში, მიმაჩნია ხელოვნურ ბარიერად.

შესაბამისად, გთხოვთ, მოიწვიოთ „ღია კარის სხდომა“, რომელიც ანალოგიურად საკრებულოს სხდომებისა, გაიმართება სხვა, სხდომისთვის შესაფერისი დარბაზის მქონე შენობაში.

პატივისცემით,

აკაკი გვიანიძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი